ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს შორის

ქ. თბილისი

22 თებერვალი 2016 წ.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0162, ჩოლოყაშვილის გამზ. #3-5) წარმოდგენილი რექტორის გიგა ზედანიას სახით და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კლდიაშვილის სახით (შემდგომში: ინსტიტუტი) გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების (შემდგომში სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების) შექმნისა და განხორციელების პროცესში ინსტიტუტის მხარდაჭერასა და ჩართულობას.

2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტის და ინსტიტუტის თანამშრომლობა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და განხორციელების პროცესში, რომელიც მიმართული იქნება მაღალი ხარისხის საგანმანთლებლო პროდუქტის შექმნაზე, მათ შორის კვალიფიციური, საერთაშორისო და ადგილობრივ დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი იურისტების მომზადებაზე.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 ინსტიტუტი კისრულობს ვალდებულებას:

3.1.1 მონაწილეობა მიიღოს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში;

3.1.2 მონაწილეობა მიიღოს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების ფართო განხილვაში;

3.1.3 გაუზიაროს უნივერსიტეტს საკუთარი გამოცდილება კვალიფიციური კადრების მომზადების პროცესის დასახვეწად;

3.1.4 ხელი შეუწყოს განათლების ხარისხის განვითარების პროცესს უნივერსიტეტში;

3.1.5 მიაწოდოს უნივერსიტეტს რეკომენდაციები სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გასაძლიერებლად;

3.1.6 ხელი შეუწყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესს;

3.1.7 ხელი შეუწყოს სამართლის სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების პროცესს;

3.1.8 დაეხმაროს უნივერსიტეტს კვლევით პროცესებში, მათ შორის კონფერენციების ორგანიზებაში;

3.1.9 დაეხმაროს უნივერსიტეტს პრაქტიკის კლინიკის შექმნასა და განხორციელებაში;

3.1.10 განახორციელოს სხვა აქტივობები, რაც შეესაბამება წინამდებარე მემორანდუმით დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

3.2 უნივერსიტეტი კისრულობს ვალდებულებას:

3.2.1 ხელი შეუწყოს ინსტიტუტის მონაწილეობას სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში;

3.2.2. ინსტიტუტთან ერთად დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის.

3.2.3 ინსტიტუტთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ამ მემორანდუმის მიზნების განსახორციელებლად დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას.

4.2 მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ჩოლოყაშვილის გამზირი № 3-5, თბილისი 0162, საქართველო

რექტორი: გიგა ზედანია

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
მისამართი: ალ. გრიბოედოვის ქუჩა № 3. თბილისი 0108, საქართველო.

დირექტორი: გიორგი კლდიაშვილი